

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 12 ივლისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა მოსახლეობასთან შეხვედრა. წარმოგიდგინებ აღნიშნული შეხვედრის ოქმს.

დანართი: შეხვედრის ოქმი №11- 2(ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ეკა მეგრელიშვილი

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი



მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი №11

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: აცანის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 12.07.2018 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, აცანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ემზარ თევდორაძე, დეპუტატი ციციწო ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირმა ხურციძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ეკატერინე გუჯაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი მაია კუპატაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნოს სპეციალისტი ეკა მეგრელიშვილი და სოფელ აცანის მოსახლეობა.

მუნიციპალიტეტის მერი, ალექსანდრე სარიშვილი მიესალმა სოფლის მაცხოვრებლებს და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში იმართება შეხვედრები, რათა ადგილზე მოხდეს ყველა იმ პრობლემის გაცნობა, რომელიც აწუხებს სოფლის მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლებისგან შესაბამისი რეაგირება.

სოფელ აცანის მოსახლეობის ძირითად პრობლემად მეწყრული ზონები დასახელდა.

ნანა ჯიჯიეშვილმა აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს მეწყრულ ზონაში, ყოველი წვიმის დროს მოდის ნიაღვარი და გზა ნახევრად ჩაშვავებულია. ოჯახში ცხოვრობს მცირეწლოვანი ბავშვები და მუდმივად უწევთ შიშის ქვეშ ცხოვრება. მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ გზაზე მაქსიმუმ ერთ კვირაში დაიწყება გაწმენდითი სამუშაოები, გაიწმინდება არხი და გზაზე დაიგება ბეტონის საფარი.

თინათინ ონიანმა დასვა შეკითხვა თუ როდის მოხდებოდა სოფელ აცანის გაზიფიცირება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ხდება სოფლების: ქვემო აკეთის, ჩიბათისა და ლესის გაზიფიცირება და 2020 წლისთვის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი იქნება ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი.

ირმა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სოფელ აცანის ადმინისტრაციულ შენობაში წვიმის დროს ჩამოდის წყალი და სახურავი არის შესაკეთებელი, ასევე შენობაში ორი ოთახი არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

თინათინ ონიანმა აღნიშნა, რომ სოფელ აცანის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულია რამდენიმე დაწესებულება და არ არის საპირფარეშო, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

ინეზა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სოფელ აცანიდან აკეთში მიმავალი ცენტრალური გზა არის დამეწყრილი და 4-5 ოჯახს გაუსაძლის პირობებში უწევს ცხოვრება.


რუსუდან ჯიჯიშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ წვიმის დროს სოფლის ცენტრიდან წყალი მიყვება გზას, ჩადის მის ეზოში და იტბორება. აუცილებელია სანიაღვრე არხის გაკეთება და გზაზე საფარის დაგება, რომ აღნიშნული პრობლემა მოიხსნას. მან ასევე აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეწამლვითი სამუშაოების მესამე ეტაპი სოფელში ჩატარდა, მაგრამ მისი უბანი არ შეწამლულა, რაზეც ემზარ თევდორაძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ავტომანქანას საწვავი დაუმთავრდა, რის გამოც ვერ მოხდა ყველა უბნის შეწამლვა. შეწამლვითი სამუშაოები აუცილებლად გაგრძელდება და სოფლის ტერიტორია მთლიანად შეიწამლება.

მარიამ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ტელმანის უბანში მდებარე სტადიონი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში. საჭიროებს შემოღობვას და მინიმალური სამუშაოების ჩატარებას (მიწის მოსწორებას), წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ჩატარდება სოფლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

თინათინ ონიანმა მადლობა გადაუხადა სოფლის დეპუტატს, ემზარ თევდორაძეს და აღნიშნა, რომ სოფელ აცანის დეპუტატი არის ძალიან გულისხმიერი, გვერდითმდგომი და პასუხისმგებლიანი ადამიანი. სოფლის თითოეული მცხოვრების გაჭირვება გულთან მიაქვს და მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს მათ პრობლემების მოგვარებაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე:

 ვლადიმერ ნანაიძე